



შპს თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
ფინანსური ანგარიშგებები

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	3 175 668	1 996 571
არამატერიალური აქტივები	2	3 405	3 405
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 179 073	1 999 976
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3	1 969 102	808 618
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	2 263 030	3 742 191
საინვესტიციო ქონება	5	36 000	36 000
ფული და ფულის ექვივალენტები	6	128 486	109 541
სულ მიმდინარე აქტივები		4 396 618	4 696 350
სულ აქტივები		7 575 691	6 696 326
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება		3 119 822	2 077 855
სულ კაპიტალი		3 139 822	2 097 855
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	3 345 719	3 808 321
გრძელვადიანი სესხი	8	1 090 150	790 150
სულ ვალდებულებები		4 435 869	4 598 471
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7 575 691	6 696 326

ხელმოწერილი პირები: გიორგი კაჭარავა

დირექტორი



შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
 საქმიანობის შედეგის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	9	14 260 008	15 365 522
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	10	(3 878 337)	(5 152 649)
საერთო მოგება		10 381 671	10 212 873
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(9 335 187)	(9 394 488)
საოპერაციო მოგება		1 046 484	818 385
ფინანსური ხარჯი		(3 568)	
ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობიდან		(949)	11 122
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე		1 041 967	829 507
მოგების გადასახადის ხარჯი			
პერიოდის მოგება		1 041 967	829 507

ხელმოწერილი პირები: გიორგი კაჭარავა

დირექტორი



შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	405 711	223 086
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(685 818)	(596 050)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	300 000	-
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	(948)	(6 966)
წმინდა ფულის ზრდა	18 945	(379 930)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	109 541	489 471
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	128 486	109 541

ხელმომწერი პირები: გიორგი კაჭარავა

დირექტორი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“ (ს/კ 405271646) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. 26, კომერციული ფართი 2-6.

კომპანიის მფლობელები არიან: გიორგი კაჭარავა (23.5%), ლევან ყურაშვილი (23.5%), გიორგი კაჭახიძე (20%) და შპს კარდიონეტი (33%).

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“ ეწევა როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას შემდეგ ძირითად სპეციალობებში: კარდიოლოგია, ნევროლოგია, ენდოკრინოლოგია და რადიოლოგია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული საადრიცხო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების . თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
ძვირადღირებული სამედიცინო ინვენტარი	7-12
ოფისის აღჭურვილობა	3-6
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან აღიარდება სამედიცინო მომსახურების დასრულების მომენტში, როგორც სტაციონარული ასევე ამბულატორიულ პაციენტებთან მიმართებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ისტორიული ღირებულებით. მარაგების სამედიცინო ისტორიებზე მიკუთვნება/ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ფასის პრინციპით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

1. ძირითადი საშუალებები

	ელექტრონული მოწყობილობები	სამედიცინო აპარატურა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სულ
დირეზულება						
ბალანსი 31 დეკ 23	238 831	2 415 947	447 453	193 711	36 793	3 332 734
მატება	142 017	346 016	963 800	179 303	9 535	1 640 671
ჩამოწერა						-
გადასვლა						-
ბალანსი 31 დეკ 24	380 848	2 761 963	1 411 253	373 014	46 328	4 973 406
დაგროვილი ცვეთა						-
ბალანსი 31 დეკ 23	148 993	691 568	307 212	155 521	32 869	1 336 163
ცვეთის ხარჯი	55 292	165 041	185 252	47 739	8 250	461 573
ჩამოწერა						-
ბალანსი 31 დეკ 24	204 285	856 609	492 464	203 260	41 119	1 797 736
ნარჩენი დირეზულება						-
31 დეკემბერი 2023	89 838	1 724 379	140 241	38 190	3 923	1 996 571
31 დეკემბერი 2024	176 563	1 905 354	918 789	169 754	5 208	3 175 668

2. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
საბუღალტრო პროგრამა ბალანსი 3 ლიცენზია	3 405	3 405
სულ არამატერიალური აქტივები	3 405	3 405

3. მარაგები

მარაგები	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
მედიკამენტები	1 283 582	703 498
სხვა სამედიცინო სახარჯი მასალა	685 520	105 120
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1 969 102	808 618

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	1 663 693	2 729 936
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	599 337	1 012 255
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 263 030	3 742 191

5. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
ინვესტიცია დაკავშირებულ საწარმოში	36 000	36 000
სულ საინვესტიციო ქონება	36 000	36 000

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
ნაღდი ფული საღაროში	59 090	22 789
ნაღდი ფული საბანკო ანგარიშზე	69 396	86 752
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	128 486	109 541

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
სავაჭრო ვალდებულებები	3 345 719	3 808 321
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 345 719	3 808 321

8. გრძელვადიანი სესხი

გრძელვადიანი სესხი	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
ბანკის სესხი ლარში	300 000	-
სესხი ლარში დაკავშირებული საწარმოსგან	790 150	790 150
სულ გრძელვადიანი სესხი	1 090 150	790 150

შპს „თიმი-თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

9. შემოსავალი

შემოსავალი	2024	2023
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	14 260 008	15 365 522
სულ შემოსავალი	14 260 008	15 365 522

10. რეალიზებული სერვისების თვითღირებულება

რეალიზებული სერვისების თვითღირებულება	2024	2023
მედიკამენტები და სხვა სამედიცინო სახარჯი მასალა	3 878 337	5 152 649
სულ რეალიზებული სერვისების თვითღირებულება	3 878 337	5 152 649

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	6 668 360	6 634 971
იჯარის ხარჯი	706 082	631 856
ცვეთის ხარჯი	461 573	345 990
სხვა ხარჯი	1 499 172	1 781 671
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9 335 187	9 394 488

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

ხელმოწერილი პირები: გიორგი კაჭარავა

დირექტორი

